წელიწადი მეორე — ფასი 7 კაპ. — შაბათი, 24 ენკენისთვე 1916 წ. — № 211

# საქართველო

[illegible] ...რილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: [illegible] განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ხელმოწერის ფასი:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. ივიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პროვინციაში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, д. кн. Габаевъ Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

თბილისის ქართული სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე კომიტეტი ამით აცხადებს, რომ უხვი შემომწირველის გარდაცვალებულის

**სალომე ბეჟანის ასულის**
# ბურბენიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 25 ამა ენკენისთვეს სურპ, მინასის ეკლესიაში (ციციანოვის აღმართი, იორის ქუჩა). წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ და პანაშვიდი 11 საათზედ. (2—346—1)

**დედა, პელაგია დავითის ასული, მეუღლე ნატალია თევდორეს ასული და ძმა ზაქარია სოლომონის ძე ინაშვილები,** ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ კვირას, 25 ენკენისთვეს, საღამოს 3 საათზედ გადახდილი იქმნება წლის პანაშვიდი

**მიხეილ (მიშა) სოლომონის ძე**
# ინაშვილის

სულის მოსახსენებლად კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1—344—1)

**კნ. ნინო ზაქარიას ასული ნიჟარაძისა შვილებითურთ: თამარი, მარგარიტა, ოლია და შალიკო მწუხარებით** აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველის დაუვიწყარის ქმრის და დანარჩენის ძვირფასი მამის

# თავად ლუარსაბ (იოსებ) ნიჟარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 7 საათ. ალექსეევის ქ. № 8. მიცვალებულს წაასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში კვირას, 25 სექტემბერს, დილის 10 საათ. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე წირვის შემდეგ. (2—345—1)

სასცენო სტუდია
# ს. ნ. ვორონოვის
ხელმძღვანელობით.
## მეცადინეობა რუსულსა და ქართულს ენაზე
ასწავლიან შემდეგ საგნებს:

**ბაუერ-ზაქსი**—პლასტიკას.
**ვორონოვი**—დიქცია-დეკლამაციას და სასცენო ვარჯიშობას.
**ელპის-ზარაფიდი**—გიმნასტიკას.
**პეტროკოვსკი**-გრიმსა და ტანთსაცმელს (კოსტიუმს), ისტორიას.
**რატოვი**—მიმოდრამას.
**რობაქიძე**—ესთეთიკას.
**ახმეტელი**—თეატრის ისტორიას.

**მეცადინეობა უკვე დაიწყო.** მოწაფეთა მიღება გრძელდება. ცნობების გაგება შეუძლიანთ ყოველ-დღე 12—1 საათზე დღისით და საღამოთი $3^1/_2$—$4^1/_2$ ს, **ნიკოლოზის ქ. 64, ბინა ვორონოვისა.** (თ.—254—4)

ქ. ბაქოში
# ღვინით ვაჭრობა „მელაანი"
**თ. ი. ს. ანდრონიკაშვილი და ამხ.**
**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები.** (112—[illegible])

ღვინის სარდაფი
# ნიკო გ. სესიაშვილისა
**იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი**
# კახური ღვინო
**განოვის ქუჩა № 4.**
— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. —
(185—[illegible])




**„ფრანციის" ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.**

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი" და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში" სადილები ეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგად ამზადებს.

**სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი**

პატივისცემით „კაფე-პარიზის" წინანდელი მწარმოებელი (თ. 253—7) **დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაული**

| | |
|---|---|
| პირველ ხარისხოვანი რესტორანი<br>**კაფე პარიზი**<br>ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.<br>(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)<br>**სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.**<br>**ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია** | **ყოველ დღე მზადდება**<br>საუზმე — ჩაი<br>სადილები — ყავა<br>ვახშმები — ხაჭაპური, პიროჟკები<br>**ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.** |

პატივისცემით **ხიდ. ს. გიგიბერია.**

საგალანტერიო მაღაზია
# ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი** (101—წ.)

სავაჭრო სახლი
# „ძმ. სესიევები და ამხ."
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ექიმი
# ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი,** სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ერლიხის „914" და „606"**
შეშხაპუნება

**ექიმი-დოსტაქარი**
# გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
# მ. ი. ვაჩნაძე
იღებს **ხაგშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
# კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**
ექიმი
# ა. დ. შაჰპაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
# ახალი აფთიაქი
◆ **პროვიზორის ახვლედიანისა** ◆

**დ. ზესტაფონში**
ექიმი
# დ. ქ. მაჭავარიანი
**იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე**

**მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს**
## სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი
დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24. (თ. 343—2)

## სწავლა-განათლების საკითხი

ომის დაწყების წინ მთავრობის წრეებში და საკანონმდებლო დაწესებულებებში ბევრს ლაპარაკობდნენ საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღებაზე. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეს ლაპარაკი მიყუჩდა ძალაუნებურად. შესაძლებელია ზავის ჩამოგდების შემდეგ ის კიდევ განახლდეს, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ დიდი ომის მიერ გამოწვეული უზარმაზარი ხარჯები არაჩვეულებრივად დაამძიმებენ სახელმწიფო ბიუჯეტს და საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება კარგა ხნით გადაიდება რუსეთში.

საქართველოში სწავლა-განათლების წყურვილმა ბოლო დროს ისეთი ელემენტარული სიძლიერით იჩინა თავი, რომ ზოგიერთ კუთხეში თითქმის კიდეც განხორციელდა პირველდაწყებითი წერა-კითხვის სავალდებულო სისტემა. ასე მოხდა მაგალითად გურიაში, სადაც ყოველს სოფელში სამ ან ხუთ წლიანი სკოლა გაიხსნა და სადაც დღეს თითქმის არც ერთი ჰასაკში მოსული ბავშვი აღარ რჩება უსწავლელად. სასოფლო სკოლების ქსელით მოიფინა იმერეთი, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, ბოლოს თვით ქართლ-კახეთსა და სამაჰმადიანო საქართველოსაც მოედო გამანახლებელი კულტურული მოძრაობა. ის მოხ-[illegible]

[illegible]

...დაპირ, არც დამთავრებულ განათლებას იძლევა. საუკეთესო შემთხვევაში ის ამზადებს კოკარდის უიმედო მიჯნურებს, რითაც ჩვენი ქვეყანა ისედაც საკმაოდ მდიდარია. გვგონია რომ ასეთი სასწავლებელი ნაკლებ შეეფერება ჩვენ აუცილებელ საჭიროებას, ვიდრე პროფესიული ან სამრეწველო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც უფრო პრაქტიკოსებს აყალიბებს ვიდრე უსარგებლო დილეტანტებს.

საქართველოში უკვე არსებობს ასეთი ტიპის სკოლა და მან უკვე საგრძნობელი სარგებლობა მოუტანა ჩვენს ხალხს. ეს არის ავლევის სამეურნეო-სამრეწველო სკოლა, სადაც მიწათმოქმედების ელემენტების გარდა მჭედლობასა, ზეინკლობასა, დურგლობასა და მანქანების მოხმარებას ასწავლიან. რავდენად ძლიერია ჩვენში ასეთი სწავლა განათლების მოთხოვნილება იქიდანაც სჩანს, რომ ავლევის სკოლაში კურს-დამთავრებული ადვილად შოულობენ მემანქანეებისა და ინსტრუქტორების ადგილს. ტეხნიკური ცოდნა საქართველოში პირველყოფილ საფეხურზე სდგას და სამეურნეო მანქანების გავრცელებას ხშირად უფრო უცოდინარობა უშლის ხელს, ვირდე ხალისის ან შეძლების უქონლობა. უბრალო ვინტი რომ გატყდეს, გამკეთებელი არავინ არის.

რასაკვირველია არც ის ვარგა, რომ სწავლა-განათლების საქმეში ცალ-[illegible]

[illegible]

## გერმანიის კანცლერის სიტყვის გამო

[illegible]

რებმა და ნაციონალ-ლიბერალებმა პირდაპირ უნდობლობა გამოუცხადეს კანცლერს; მათ რომ რაიხსტაგის უძლიერესი პარტია კათოლიკეთა წარმომადგენელი ცენტრი მიმატებოდა ბეტმან-ჰოლვეგი დაჰკარგავდა უმრავლესობას და იძულებულიც იქმნებოდა კანცლერობაზე ხელი აეღო.

ცენტრის ანტიპატია კი, რომელიც აქამდის დაფარული იყო, ცხადად გამოაშკარავდა ამ უკანასკნელ დროს, როდესაც სამხედრო მდგომარეობის გართულების გამო იმპერატორმა ყველა სამხედრო ძალების ბატონ-პატრონად ფელდმარშალი ჰინდენბურგი დანიშნა.

მიუნხენში შეკრებილმა ცენტრის ფრაქციამ საგანგებო დადგენილება გამოიტანა ჰინდენბურგის დანიშვნის გამო, რომელშიაც პირდაპირ ნათქვამია: „ჩვენ სავსებით ვენდობით ფელდმარშალ ჰინდენბურგს და დარწმუნებულნი ვართ, რომ ამიერიდან ჩვენი მტრის წინააღმდეგ მიუხედავათ რომელიმე გარეშე მოსაზრებისა მიღებულ იქნება ყოველივე ზომა ომის საჩქაროდ და ძლევამოსით დასრულებისათვისო."

ეს დადგენილება სერიოზული დაგმობა იყო კანცლერის „ზომიერი" პოლიტიკისა; ამერიკის და იაპონიის ქარხნებით დამზადებულმა მოკავშირეთა შემოტევამ და რუმინეთის მათზევე გადაკიდებამ გაასასტიკა აქამდის ზომიერი ცენტრი და გაერთიანა იგი ნაციონალ-ლიბერალებთან და კონსერვატორებთან. ბეტმან-ჰოლვეგს მაშინვე დაუწყია მოლაპარაკება ამ უძლიერეს პარტიებთან, რასაც შედეგად მოჰყოლია კანცლერის ზიარება უწინდელ ოპოზიციის პროგრამითა. და შედეგი ამ ზიარებისა სწორედ რაიხსტაგში წარმოთქმული სიტყვა არის.

დეპუტატთა მხურვალე ტაშის ცემის და „ვაშას" აკომპანიმენტით ბეტმან-ჰოლვეგს განუცხადებია: ინგლისი ყველაზედ გამწარებული, მედგარი და გულქვა მტერია და ჩამოსახრჩობია ის გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ბრძოლის დასამთავრებლად არ ისარგებლებს ამ მტრის წინააღმდეგყოველივე საშუალებებითო.

ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ გერმანეთი ამიერიდან ინგლისთან საბრძოლველად თავს დაანებებს ნეიტრალ სახელმწიფოებთან არშიყობას და უმწვერვალეს წერტილამდის აიყვანს საზღვაო და საჰაერო ბრძოლას. მართალია წყალქვეშათა განუსაზღვრელ თარეშის განახლება ეწინააღმდეგება იმ დაპირებას, რომელიც ამას წინად გერმანეთმა ამერიკას მისცა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ რომ ეს დათმობა პირობითი ხასიათის იყო: თავის საპასუხო ნოტაში კანცლერი ხომ „იმედს" გამოსთქვამდა, ამერიკის შტატები დათმობის სამაგიეროდ დაიცავდენ ნეიტრალ სახელმწიფოთა ვაჭრობას ინგლისის ბლოკადის უკანონო წესებისგან; ეს იმედი იმედათ დარჩა და ამით გერმანეთსაც ერთგვარი ზნეობრივი გამართლება ეძლევა წყალქვეშათა თარეშის განახლებისათვის.

საგულისხმოა ამ მხრივ, რომ სწორედ კანცლერის განცხადების შემდეგ ბერლინში მყოფი ამერიკის ელჩი ჯერარდი საგანგებო დავალებით გაემგზავრა ვაშინგტონში.

რაც შეეხება საჰაერო სტრატეგიას, გრაფმა ცეპელინმა სწორედ ამ ბოლო დროს მიჰყო ხელი ინგლისის დედაქალაქის მუდმივ აწიოკებას და რბევას ახლად აშენებულ მფრინავთა საშუალებით...

მაშასადამე, შეუძლებელია ვიმედოვნოთ, რომ გერმანეთი მოურიგდეს ინგლისს, სანამ ერთი მათგანი არ დაენარცხება სასიკვდილოდ; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახლანდელ ომის დასასრული, იმ ომის, რომლის მთავარი სულის ჩამდგმელი ინგლისია, ჯერ კიდევ შორეა.

**ახალი.**

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

საბერძნეთში, როგორც გუშინდელი დეპეშა გვამცნობს, სამინისტრო კაბინეტი გადამდგარა. მეფე კონსტანტინეს მოლაპარაკება ჰქონია სკუდულუსთან და პრემიერ-მინისტრთან. საინტერესოა ვიცოდეთ, რამ აიძულა საბერძნეთის მინისტრები თანამდებობიდან გადამდგარიყვნენ. ჯერ-ჯერობით ყოვლად შეუძლებელია იმისი თქმა, ვითომ ეს ცვლილება მოასწავებდეს საბერძნეთის გამოსვლას მოკავშირეთა სასარგებლოდ. თვით ის ცნობა, რომ მეფემ სკუდულუსი მოიწვია და მასთან მოლაპარაკება გაჰმართა გვიკარნახებს სულ წინააღმდეგ. სკუდულუსი სულ რამდენიმე კვირის წინ გადადგა და თავის პორთფელი კარაკელაპულოსს გადასცა. საბერძნეთის მთავრობის პოლიტიკა მისი მეთაურობით ყოველთვის და ყოველმხრივ გერმანეთის სასარგებლოდ მიმდინარეობდა. თვითონ ორჰოფი, გამოურკვეველი, მისი მოქმედებაც სწორედ ამგვარივე იყო და თუ დღეს მეფე კონსტანტინე მისგან რჩევას ითხოვს, სჩანს არც მას აქვს გადაწყვეტილი სარაილის ჯარს გვერდში ამოუდგეს და მასთან ერთად ბულგარელებს და გერმანელებს მიესიოს. მოკავშირენი კი დღეს მისგან ერთს გადაჭრილ პასუხს მოითხოვენ. წმინდა სტრატეგიული მოსაზრებით გენ. სარაილისათვის საჭიროა იცოდეს თუ ვისკენაა საბერძნეთი. მარტო ვენიზელოსი, რომელიც კუნძულებზე რევოლიუციას ხელმძღვანელობს და სცდილობს ამ უკანასკნელი საშუალებით მაინც აიძულოს საბერძნეთი ომში ჩაერიოს მოკავშირეთა სასარგებლოდ, სრულებით ვერ უზრუნველ ჰყოფს სალონიკის მიდამოებში მოკავშირეთა მომქმედს ჯარს იმ ხიფათისაგან, რომელიც მას საბერძნეთისაგან მოელის, თუ უკანასკნელი ერთ მშვენიერ დღეს გერმანეთს მიემხრობა.

ბევრი თვით ვენიზელოსის მიერ შექმნილ რევოლიუციას დიდის ეჭვით უყურებს. არსებითად ამ არეულობას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ და ირწმუნებიან, რომ თვით საბერძნეთის ხალხის უმრავლესობა დღეს დღეობით მეფე კონსტანტინეს გავლენის ქვეშ იმყოფებაო.

მაშასადამე, არც ახლა უნდა გვქონდეს დიდი იმედები საბერძნეთისგან, პირ იქით ეს ალბად ნაცადი ხერხია და სცდილობენ, რომ როგორმე დრო მოიგონ, სანამ რუმინეთის ბედ-იღბალი გამოირკვეოდეს.

გუშინდელი რუმინეთის ოფიც. დეპეშა გვატყობინებს, რომ ავსტრიელებთან ერთად გერმანელებიც იბრძვიან. პეტროშენის მახლობლად რუმინეთის ჯარი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვანახშირის მაღაროები და უკან დაეხივნა. სამაგიეროდ რუმინელებმა ფოგაროშთან მოიგერიეს მოპირდაპირის იერიშები და ტყვედ 800 გერმანელი წამოიყვანეს. ცხადია ტრანსილვანიაში ნამდვილ ოპერაციებთან გვაქვს საქმე. გერმანელებს და ავსტრიელებს ეტყობათ საკმაო ძალებისთვის მოუყრიათ თავი ღ გადამწყვეტ ბრძოლისათვის მომზადებულან. ჯერჯერობით იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ ხელთაა, ძალიან ძნელია იმის გამორკვევა, თუ რა გვარ მიმდინარეობას მიიღებს აქ დაწყებული ოპერაცია. რუმინეთის სამხედრო შტაბი მეტად ფრთხილობს ცნობის გადმოცემის დროს. ხშირად ძალიან მნიშვნელოვან ადგილას თავისსავე გამარჯვებას დროებით ჰმალამს და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ უზიარებს საზოგადოებას.

აი ახლაც დანამდვილებით არ ვიცით რომელ ალაგს ჰყავს გერმანელებს მთავარი ძალები შეკრებილი: ფოგაროშთან, ალიუცის ნაპირებზე, დვერგელთან თუ პეტროშენთან. კერძოთ ყველა ამ ალაგს სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვს, და მაშასადამე სტრატეგიული მოსაზრებით შეიძლება სხვა და სხვა მიზნისთვის გამოიყენოს მოპირდაპირემ.

გენ. სარაილის მეთაურობით მყოფი სერბეთის ჯარს გაშმაგებული იერიშები მიაქვს ბულგარელებზე და ალაგ-ალაგ ახევინებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ბულგარელები ჯარს მოიშველიებენ დობრუჯიდან და შეეცდებიან სერბიელების შეჩერებას.

აღმოსავლეთ ასპარეზზე ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით სასტიკი ბრძოლა კვლავ გრძელდება.

დანარჩენ ბრძოლის ველზე ჩვეულებრივი შეტაკებები ხდება.

**X.**

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**23 ენკენისთვე**

**პეტროგრადი.** ოფ. პერონ-ბაპომის ხაზზე ინგლის-საფრანგეთის ჯარის მარჯვე შეტევის გამო უმაღლესმა მთავარ-სარდალმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ინგლისის მეფეს:

უდიდებულეს მეფეს. ლონდონი. თავს ვერ ვიკავებ, რომ თქვენს უდიდებულესობას და თქვენს სახელოვან ჯარს ჩემი უგულითადესი მილოცვა არ ვუძღვნა მდ. სომაზე ბრძოლის დროს უკანასკნელ სახელოვან მოქმედების გამო.

**ნიკოლოზი.**

**საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს.** გთხოვთ, ბატონო პრეზიდენტო, მიიღოთ ჩემი სიხარული და ალტაცება მდ. სომაზე ფრანგების ჯარის მიერ მიხწეულ დიდ გამარჯვების გამო.

**ნიკოლოზი.**

მეფემ სამაგიერო დეპეშები მიიღო.

—

დასავლეთის ასპარეზი. ვლადიმირ-ვოლინიდან მდ. დნესტრამდე მედგარი ბრძოლა გრძელდება. ადგილ-ადგილ ჩვენმა ჯარმა მოპირდაპირის ადგილები დაიჭირა. მდ. ბისტრიცაზე ბოგოროდჩანის მიდამოში მოპირდაპირის რამდენიმე სედარაჯო ავიღეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

კავკასიის ასპარეზზე. ზღვის სანაპიროებზე, ჩვენი ჯარი ფლოტის დახმარებით მოულოდნელად ეკვეთა მტერს, აქ ბდინარე ყარა-ბურდუ-სუზე მდებარე მტრის გამაგრებული ადგილი ავიღეთ. მტერი დიდად დაზარალდა. წამოვიყვანეთ ტყვეები. ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, პატრონები და ხესაწყობი. მტრის ზურგის მხარეს დავანგრიეთ მიწურები, ქოხები და თხრილები.

**დობრუჯი.** რუსეთ-რუმინეთის ჯარი წინ იწევს. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 6 ზარბაზანი, რუმინელებმა—7.

**ბალტიის ზღვა.** 20 ენკენისთვეს, მტრის ჰიდროპლანების თავდასხმის დროს, ერთი ჰაეროპლანი ძირს დაეშო და რიგის ყურეში, რუნოს კუნძულთან დავატყვევეთ.

**ათინა.** სამინისტრომ გადადგომა ითხოვა.

**ჰავრი.** ბელგიელების ოფიციალი ცნობა. არსებითი არაფერი მომხდარა.

**რომი.** იტალიის ცნობა. მტრის არტილერია დაჟინებით უშენს გორიცის და კარსოს მიდამოებს. ტრავენიოლოს (ავიზიო) ველში ძლიერი სროლის შემდეგ, მტერი რამდენჯერმე მედგარი იერიშით წამოვიდა და დიდის ზარალით მოვიგერიეთ. კოლბრიკინო-პიკოლოს მხარეს ახალი ადგილები ჩამოვაცალეთ მტერს. მტრის საფრენებმა ყუმბარები დაუშინეს მონფალკონ და იზონცოს ქვემო მიდამოებს. მოჰკლეს ერთი, დასჭრეს ერთი. ჩვენმა მფრინავებმა კარსოზე ჩაბრეზინის სადგურს ყუმბარები დაუშინა.

**ლონდონი.** საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ცნობა. ანკრას სამხრეთით გედეკურსა და ოკურ-ლაბეს მიდამოებს შუა მტერი მედგრად უშენდა ზარბაზნებს. ამ ადგილების შუა გზაზედ მოპირდაპირემ იერიშის მოტანა სცადა, თან ხელის ყუმბარებს გვიშენდა. მოვიგერიეთ და ჩვენი თხრილების წინ ბევრი დახოცილი დავატოვებინეთ.

იპრ-ემენის გზის სამხრეთით ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა.

**ბალკანეთში.** ოფიციალი ცნობა. 20 ენკენისთვეს ჩვენმა ჯარმა სოფ. ყარაზადკიოის მახლობლად დაიჭირა სერერის გზაზე მდებარე სოფ. ენიკიოს ნაწილი.

ბულგარელებმა სამჯერ სამაგიეროდ შემოგვიტიეს. მესამე შემოტევის წინ ძლიერი სროლა აგვიტეხეს ზარბაზნებით. ბრძოლა გრძელდება. მტერი დიდად დაზარალდა.

**ათინა.** მეფემ გუშინ სადარბაზოდ მიიღო პეტროგრადში დესპანად ნამყოფი, დემეტრაკოპულოსი, დრაგუმისი, სტრატისი და რამდენიმე გენერალი. დღეს მეფემ სადარბაზოდ მიიღო სკულუდისი. საღამოთი კი ეთათბირა მინისტრ - პრეზიდენტს კალაგეროპულოსს. თათბირი გადამჭრელ გზას ვერ დაადგა. მდგომარეობა გამოურკვეველია. მმართველი წრეები დიდს თავშეკავებას იჩენენ. მთავრობა გადაჭრილ ზომებს ხმარობს მოძრაობაში აფიცრებისა და მოხალისეთა ჩარევის წინააღმდეგ. სამხედრო პირნი მაინც ახერხებენ ათინიდან გასვლას. კიპროსისა და სხვა კუნძულებიდან მრავალრიცხოვანი მოხალისენი სოლუნისაკენ მიემართებიან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუმინეთში.**

„ვიქტორფლ"-ი სწერს: 4 ენკენისთვეს ბრძოლის დროს რუმინელების მოწინავე ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია. ბრძოლა დუნაიდან დაწყობილი ზღვის კიდემდე გაჩაღდა. გერმანელები აწვებოდნენ რუმინელთა მარჯვენა ფრთას და ჩეროვოდამდე მიაღწიეს.

აქ მათ წინ შეეჯახა ვალახიისა და ოლტენიის ჯარი. გერმანელები მაშინ ბრძოლის ხაზის შუაგულს მიაწვნენ. აქ მათ წინ დაუხვდნენ სერბიელები და რუმინელები. ამ ბრძოლაში მოჰკლეს რუმინეთის პოლკოვნიკი მროშანუ და სერბიელებისა—მუტიცი.

**საბერძნეთში.**

ვენიზელოსს შეუდგენია დროებითი მთავრობა, რომელშიაც შედიან: რეპუბლიოსი—შინაგან საქმეთა მინისტრი, დანგლისი—სამხედრო მინისტრი, მიხალოპულოსი — საზოგადო სამუშაოთა მინისტრი, დიომიდისი — ფინანსთა მინისტრი. ახალ მთავრობის წევრად შევიდა აგრეთვე ადმირალი კონდურიოტისი. საბერძნეთის ფლოტი ვენიზელოსის მხარეზეა. საფრანგეთში მყოფი საბერძნეთის საზღვაო აგენტი სამშობლოსაკენ გაემართა კუნდურიოტისის მისამხრობად.

**ვენიზელოსის მოწოდება.**

კუნძულ კანიაში გადასვლის დროს ვენიზელოსს დიდი ამბით შეხვდნენ მცხოვრებთა უმრავლესობა. მეფე კონსტანტინეს მომხრენი ცოტანი იყვნენ. ვენიზელოსი და ამირბარი კუნდურიოტისი შეუდგნენ დროებითი მთავრობის შედგენას,უკვე გამოჰკიდეს პირველი ნომერი დროებით მთავრობის ოფიციალი გაზეთისა, სადაც დაბეჭდილია საბერძნეთის ხალხისადმი მოწოდება, რომელსაც ხელს აწერენ ვენიზელოსი და ამირბარი კუნდურიოტისი. მოწოდებაში აწერილია საბერძნეთის ხალხის უბედურობა, რასაც ამ ორი წლის განმავლობაში მეფის პოლიტიკის გამო ითმენსო. მოწოდება სხვათა შორის ასე თავდება: რადგანაც ოფიციალ მთავრობამ უღალატა ფიცს და სამშობლოს ინტერესები სხვას ანაცვალა, ამიტომ ხალხმა თითონ უნდა მოუაროს თავის თავს. მოუწოდებთ საბერძნეთის ყველა ძალებს, ვინც იწამებს, რომ მთავრობის ასეთი პოლიტიკა ჩვენი ერის სიკვდილს მოასწავებს, მოგვემხროს ჩვენ და ერთ ძალით ვიმოქმედოთ. ჩვენ გვწამს, ამ ბრძოლაში ყველანი ჩვენთან იქნებით და მთავრობის მაგიერობას გასწევთ".

ამ მოწოდებასთან ვენიზელოსს შეკითხვა გაუგზავნია მეფისთვის, მიემხრობა იგი ხალხის მოძრაობას თუ არა. თუ პასუხს არ გასცემს მთავრობა, მაშინ დროებითი მთავრობა უფლებას იტოვებს თავისუფალ მოქმედებისას...

**რუმინეთში.**

პარიზიდან იტყობინებიან: წინად აქ ფიქრობდნენ, რომ გერმანელებმა დობრუჯში იმისათვის შეუტიეს, რომ რუმინელები ტრანსილვანიას მიაწვენო. ახლა კი ირკვევა, რომ მოპირდაპირეს მიზანში ჰქონია ამოღებული რუმინეთის სატახტო ქალაქი ბუქარესტი. ამის გამო ფრანგები რჩევას აძლევენ რუმინელებს, ტრანსილვანიაში მოგერიებით ბრძოლას დაადგეს და ბულგარეთს შეუტიოს.

**წყალქვეშ-ბრძოლა.**

გერმანელებს კვლავ განუზრახავთ წყალქვეშა ნავებით ბრძოლის გაფართოვება.

მაიორი მორატი „ბერლინერ ტაგებლატ"-ში სწერს: ინგლისელებისა და ფრანგების გამარჯვება მდ. სომაზე იმის შედეგია, რომ მოკავშირეები დაუბრკოლებლად ღებულობენ სამხედრო მასალას ამერიკიდან.

ცნობილი ადმირალი ტირპიცც საგანგებოდ ჩავიდა ბერლინში. კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა რაიხსტაგშიაც განაცხადა: „საჭიროა ბრძოლა ყოველგვარ საშუალებითაო".

ბერლინში მყოფ ამერიკის დესპანთან მოლაპარაკება ჰქონდათ. დესპანი ამ საქმის თაობაზე საგანგებოდ გაეშურა ვაშინგტონისაკენ, რათა ამერიკის პრეზიდენტს ვილსონს პირადად მოელაპარაკოს.

შუმიკი სწერს: წყალქვეშა ნავებით დაუნდობელ ბრძოლას კვლავ დაიწყებს გერმანეთი. წყალქვეშებს ცეპელინებსაც მიახმარებს.

ამ წლის თებერვლის 16 ს გამოაცხადეს გერმანელებმა: ყველა სავაჭრო გემს დავღუპავთ, თუ შეიარაღებულიაო. ორთავე ნახევარში დაღუპეს თითქმის ორასი გემი, დღე-ლამეში $2^1/_2$ გემი მოდის. ეს რიცხვი მეტად უმნიშვნელოა, მონავოსნე გემების რაოდენობასთან შედარებითო,რადგანაც ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროების ერთერთ ნავთსადგურში მარტის განმავლობაში მისულა და წასულა 1527 გემი. გერმანელები მაინც აპირებენ წყალქვეშა ნავებით სასტიკ ბრძოლის განახლებას.

## უკანასკნელი დეპეშები

**დობრუჯაში რუსების ჯარს თავს დასტრიალებს მოწინააღმდეგის ჰაეროპლანები. ვარნაში რუსის მფრინავმა ყუმბარით ცეცხლი გააჩინა.**

—

**რუმინეთის სატახტო ქალაქ ბუქარესტში გერმანელების ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს. მოჰკლეს ამერიკელი მოქალაქე.**

—

**ამბობენ ვენიზელოსი თანახმაა საბერძნეთის პარლამენტი თავის მეთაურობით მოიწვიოსო.**

—

**ჰამბურგში აუარებელმა მსხვილმა მოვაჭრეებმა და ბანკირებმა მანიფესტი გამოსცეს, სადაც ნათქვამია: გერმანეთის მთავარი მტერი ინგლისია, რომელიც უნდა დაემხოს, რომ გერმანელების მსხვერპლი ანაზღაურებულ ექმნას და გერმანეთის სამეურნეო აღორძინება არ იქმნას მოსპობილიო. ეს მანიფესტი პეტიციის სახით გერმანეთის მთავრობას წარედგინა.**

—

**პეტროგრადში უწ. სინოდის ობერ-პროკურორის თანაშიარად თ-დი ჟევახოვი დანიშნეს.**

—

**პროკურორმა ნ. ნიკოლაძის საქმეზე სასამართლოსაგან დადგენილ განაჩენის შესახებ პროტესტი განაცხადა. ნ. ნიკოლაძემაც თავის მხრივ ეს დადგენილება სენატში განასაჩივრა.**

—

**„რუს. სლ." იტყობინება: ნეზიმ სალტანე სპარსეთში იძულებით ქურთებისაგან და სპარსელებისაგან ჯარს აგროვებსო.**

—

**ახლად დანიშნულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა პროტოპოპოვმა შვაგულ რუსეთის რამდენიმე გუბერნიის გუბერნატორები თავისთან გაიწვია. ამის გარდა პროტოპოპოვი რუსეთში შემოივლის საჭირო საქმის ადგილობრივ გასაცნობად. მოკლე ხანში სათათბიროს გახსნამდე პროტოპოვი კერძოდ საჭირო საკითხებზე პირადად სათათბიროს დეპუტატებს მოელაპარაკებაა.**

—

**პროტოპოპოვის დანიშვნის გამო რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში დიდი აურზაურია; გაზეთი „დენი" ხაზს უსვამს პროტოპოპოვისაგან წარმოთქმულ ერთს სიტყვას, სადაც ის აზრია გატარებული, რომ რუსეთის ქვეშევრდომებს განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა ბედნიერება უნდა მიენიჭოსო. ცხადია ახალ მინისტრს ჰსურს რაღაცა კარგი გააკეთოს და უფლება მიანიჭოს რუსეთის ქვეშევრდომ ერებს განურჩევლად კლასისა, შეძლებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. შესძლებს თუ არა ამ ლამაზ სიტყვების განხორციელებას, აი საკითხი!**

**კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებულ იქნება სურათები: შემოდგომის ოცნება, პირველი ტრანსპორტი, სამი კარიკატურა.**

**მოთხრობა „უბედური რუსი" შალვა დადიანისა, ლექსები: სანდრო შანშიაშვილისა, ხალხური და ილ. მოსაშვილისა.**

**ფასი გაზეთისა დამატებით ყველგან ორი შაურია.**

# ახალი ამბავი

**სასახლეში.**

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა ალქირიელთა ეპისკოპოსი პიმენი.

**ქართული დაწესებულებანი.**

◆ **სოფ. უდეს სკოლის** (ქ. საქვ. საზ.) მასწავლებელი ქალი მეფარიძისა უკვე გაემგზავრა ს. უდეში, ახალციხის მაზრა.

◆ **თელავის განყოფილებას** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ 300 მანეთი გაუგზავნა.

◆ **წერა-კითხვის საზ.** გამგეობის სასკოლო სექციამ სოხუმის ქართულ სკოლასთან არსებულ საპროფესიონალო განყოფილების მასწავლებლად დანიშნა ქ-ნი სოფიო ჩიტაძე, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება სოხუმს.

◆ **ი. გრიშაშვილი** აპირებს თვიურ კაზმულ-მწერლურ ჟურნალ „ლეილას" გამოცემას.

◆ **ყულაბებით ფულის მოგროვება.** ქარ. საქველმ. საზ. გამგეობას დღეს 24 ენკენისთვეს ნაშუადღევის 1 საათზე ახალ კლუბის დარბაზში დანიშნული აქვს თათბირი 27 ენკენისთვეს განზრახულ ყულაბებით ფულის მოგროვების დღის მოსაწყობად. თათბირზე მოწვეულ არიან მრავალი საპატიო პირნი, როგორც მამაკაცნი ისე მანდილოსანნი. ფულის შეგროვების დღეს გამგეთ მიწვეულია ნინო ნიკოლოზის ასული გაბაშვილისა.

◆ **საქ. საზ. გამგეობის კრება.** კვირას 2 ღვინობისთვეს სამეურნეო ბანკის დარბაზში დილის 10 საათზე დანიშნულია კრება ქარ. საქველმ. საზ. გამგეობისა. განსახილველია ბევრი საგულისხმიერო საკითხი.

◆ **ქართული სტამბა პეტროგრადში.** ამ ჟამად თბილისში იმყოფება ბ-ნი ალ. არაბიძე, რომელსაც მოუწყვია სტამბა პეტროგრადში და ქართულ ასოების შესაძენად არის ჩამოსული.

◆ **ქართული ჟურნალი რუსულ ენაზე.** პეტროგრადში ამ მოკლე ხანში გამოიცემა ვოველ თვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი რუსულ ენაზე: „საქართველოს მოამბე". გამომცემლობა უკვე უკისრია ერთ მხცოვან რუს მანდილოსან ქალს, ასე რომ ფულით ჟურნალი უზრუნველყოფილია. ჟურნალის სარედაქციო ნაწილს აწარმოებენ ბ-ნი ალ. არაბიძე, თ-დი ალ. ნ. ჩერქეზიშვილი. ბ.ბ. ქორქია, ბალანჩივაძე და სხვ. მოწვეულ არიან თანამშრომლებად როგორც სატახტო ქალაქების ისე საქართველოს სხვა და სხვა კუთხის საუკეთესო ძალები. ჟურნალის მიზანია გააცნოს რუსეთის ფართე საზოგადოებას საქართველოს წარსული და აწმყო ცხოვრება მთლიანი სახით.

◆ **ქართული წიგნთ-საცავ-სამკითხველო პეტროგრადში.** პეტროგრადის ქართულ საქველმოქ. საზოგადოება აპირებს გახსნას პეტროგრადში ქართული წინგნთსაცავ-სამკითხველო, რომლის უქონლობა დიდ დეფექტად არის მიჩნეული პეტროგრადის ქართველობისათვის. ამ საქმის მოსაწყობად პეტრ. საქველმოქ. საზ. გამგეობა ამ მოკლე ხანში მართავს დიდ ქართულ საღამოს, რომლის მთელი შემოსავალი ამ საქმეს მოხმარდება.

**თავშესაფარი სოხუმში.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ შემდეგი წერილით მიმართა ქ. შ. წ. კ. საზ. გამგეობას:

„როგორც ვიცით ქ. შ. წ. კ. საზოგადოებამ სოხუმში დაარსა ბავშვთა თავშესაფარი. თავშესაფარის მოთხოვნილება იქ მეტად საგრძნობელია. მრავალი ბავშვი უპატრონოდ არის დარჩენილი მთელ სოხუმის ოლქში. ქ. საქ. საზ-ბის სოხუმის განყოფილება გვთხოვს გავხსნათ თავშესაფარი ობოლ ბავშვთათვის და თუ ეს მოუხერხებელია წ. კ. საზოგადოებასთან შეთანხმებით ხელი შეუწყოთ და დავეხმაროთ მისი თავშესაფრის გაფართოებას. სოხუმში თავშესაფარის საკითხს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. მხოლოდ სხვა და სხვა მიზეზების გამო შეუძლებლად ვთვლით ახალი თავშესაფარის გახსნას." დასასრულ, თვისი წერილისა გამგეობა შუამდგომლობს წ. კ. გ. საზ. გამგეობის წინაშე, რათა მან ახლო მომავალში გააფართოვოს სოხუმის თავშესაფარი. ქ. საქ. საზ. ამ საქმეში თავის მხრივ აღმოუჩენს ყოველ გვარ დახმარებას, რამდენადაც შესაძლებელ იქნება როგორც ნივნიერად ისე ორგანიზაციულად და პრაქტიკულად.

**მთავრობის დაწესებულებანი.**

◆ **ფქვილით დახმარება.** მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწემ ინფ. გენერალი იანუშკევიჩი მცხოვრებთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მეფის ნაცვლის განკარგულებით საკვებ მასალის და მომეტებულ ნაწილად ფქვილის კრიზისის გამო, საინტენდანტო საწყობიდან გადაეცა თბ. გუბერნატორს 60 ათასი ფუთი ფქვილი. გარდა ამისა ვაგონების რიცხვს ბალაჯარიდან ერთი მეოთხედი მოემატა, მომავალ 10 დღის განმავლობაში კი ეს რიცხვი ერთი ორად იქნება გადიდებული, რაც შეძლებას მისცემს როგორც თბილისისათვის ისე მთელ კავკასიისათვის ყველა საჭირო სურსათის მიღებასა.

◆ **თბილისის გუბერნატორი** ფლ. ად. მანდრიკა გორს გაემგზავრა.

◆ **სამოსწავლო ოლქის უფროსი** ნ. ფ. რუდოლფი პეტროგრადიდან თბილისს დაბრუნდა.

◆ **მიწად-მოქმედების** დეპარტამენტმა კავ. საიმპერატორო სასოფ. სამ. საზოგადოებას საჭირო კრედიტი გაუხსნა მემანქანე-ინსტრუქტორის მოსამზადად. ინსტრუქტორად უკვე მოწვეულია ი. რეინე.

◆ **მეფის ნაცვლის კანცელარიის** მიერ ცნობების თანახმად ქ. ერევანში საკვებ მასალის კრიზისის გარდა ნავთის კრიზისიც ჩამოვარდნილა. მთელი

ქალაქი ჯოჯოხეთურ წყვდიადშია გახვეული უსინათლობით.

✦ თბ. პოლიცმეისტერმა 5 ვაგონი ფქვილი გადასცა თბ. მეპურეებს თბ. გუბერნატორის სათადარიგო ფქვილიდან.

### ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

✦ **ფქვილის ოპერაციის გამგეთ** დაინიშნა ყოფილი საერობო აგრონომი ვ. პ. ფედოროვი, ნაცვლად მ. ჯაბარისა.

✦ **ნიხრის გადათვალიერება.** რას 2 ღვინობისთვეს თბ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით დანიშნულია კრება ყველა სანოვაგეზე ნიხრის გადასაშინჯათ.

✦ **ტრამვაის მოძრაობა.** ამ ჟამად სარგურში 15 ვაგონი სდგას უმოძრაოდ ეგრედ წოდებულ მანქანა „შესტერონების" უქონლობის გამო. ამ „შესტერონების" შესაძენათ ქალაქის ტეხნიკოსი ი. ო. მირველოვი გაამგზავრა მოსკოვს.

✦ **გაემგზავრა ბაქოს** იქაური ქალაქის მოურავი ლ. ლ. ბიჩი. მეფის ნაცვლის თანაშემწე გუბ.-ლ. თ-დი ორლოვი შეჰპირებია ქალაქის მოურავს ყოველ გვარ დახმარებას საქვებ საქმის კრიზისით თავიდან ასაცდენად.

✦ **საელექტრონო სადგური.** გუშინ საგანგებო სხდომა ჰქონდა თბ. ქალაქის გამგეობას ქალაქის საელექტრონო სადგურის გასაფართოებლად.

გამგეობამ უკვე შეადგინა პირობის ფურცელი და გაუგზავნა „სიმენსსა და შუკერტის ფირმას, რომელიც ამ საქმეს კისრულობს.

✦ **ხოლერა.** 23 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № 40-ში იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 74 და ხოლერის ნიშნებით 14 კაცი, 22 ენკენისთვეს ხოლერიანთაგან გარდაიცვალა 2 და გაეწერა ლაზარეთიდან 6 კაცი.

✦ **ქალაქის საბჭოს** შემდეგი კრება დანიშნულია სამშაბათისთვის (27 ენკენისთ.). საბჭოს ბევრი საქმეები აქვს განსახილველი და ამის გამო კვირაში ორჯელ აპირებს შეკრებას.

✦ **ქალაქთა კავშირმა** ჯულფახოს მიმართულებით რამდენიმე სასურსათო და სამკურნალო პუნქტი გააუქმა, რადგან იმ მხარეს გადმოხვეწილთა ტალღა შესამჩნევად შემცირდა.

✦ **კარტოფილის შეძენა.** ქალაქთა კავშირს მოლაპარაკება აქვს ბაქოში მოვაჭრე ვილაც როზენბაუმთან კარტოფილის შეძენის შესახებ. კავშირს უნდა შეიძინოს როზენბაუმისგან 10 ვაგონი კარტოფილი. 1 ფუთ კარტოფილს როზენბაუმი 1 მან. 05 კაპ. აფასებს.

### ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

✦ **პურის სიმცირით** გამოწვეული კრიზისი თბილისში დღეიდან, დროებით მაინც, რამდენიმედ შემცირდება. გუშინ მეპურეებმა გამოისყიდეს ქალაქის გამგეობის სახელობაზე ფოთიდან მოსული 30 ათასი ფუთი ფქვილი და გარდა ამისა გუშინვე გამგეობას უნდა მიეღო საინტენდანტოდან 30 ათასი ფუთი. ეს ფქვილი საკმარისია 4—5 დღის განმავლობაში და მანამდისინ მოვა 73 ვაგონი ფქვილი, ჩრდილო კავკასიიდან გამოგზავნილი გამგეობის სახელზე.

✦ **ქალაქის სასანიტარო კომისიამ** გამოიკვლია ყველა საკანდიტერო-საჩაებიდან წაღებული რძე და ყველა წყალნარევი აღმოჩნდა. ზოგ ადგილიდან წაღებულ რძეში 50% წყალი აღმოჩნდა, იმავე კომისიამ მადათოვის კუნძულზე ქურხულის საძეხვე გასინჯა და აღმოაჩინა იქ 5 ფუთამდე ყოვლად უვარგისი ხორცი, რომლისგანაც ძეხვები უნდა დაემზადებინა პატრონს. კომისიამ ხორცი მოსპო და ქურხელს ოქმი შეუყენა. გარდა ამისა კომისიამ დაადგინა იშვამდგომლოს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ სავსებით დახუროს ეს საძეხვე, რადგან ქურხული არა ერთხელ იყო გაფრთხილებული უსუფთაობის გამო, მაგრამ ვერავითარმა გაფრთხილებამ ვერ იმოქმედა მასზე.

✦ **სანიტარული ღონისძიებანი.** ქალაქის სასანიტარო კომისიამ ყურადღება მიაქცია თავ. მუხრან-ბატონის მამულს, სალდათის ბაზარში, საცა ყოველგვარი სანოვაგე ისყიდება და დაადგინა: ა) ამ მამულის გასასვლელ ადგილებში (თავსა და ბოლოში) აღიკრძალოს ვაჭრობა, ბ) სავაჭრო ადგილს პატრონმა გაუკეთოს სახურავი, გ) ეხლანდელ დაძველებულ და გაჭუჭყიანებულ სანეხვეების ნაცვლად დაიდგას თვლებზე გაკეთებული და ცინკით ამოჭედილი ფიცრული 2 ჭურჭელი ნაგვისა და უსუფთაობის ჩასაყრელად, დ) აკრძალულ იქმნას იქ თევზით ვაჭრობა, ე) გაყვანილ იქმნას მამულში წყალის არხი და გაიმართოს კრანტი, ვ) მოიფინოს ადგილი ასფალტით, ზ) გაიმართოს იქ 2 ფეხის ადგილი და სხ. გარდა ამისა სასანიტარო კომისიამ საჭიროდ სცნო: 1) იმ სახლებში, საცა ხოლერა აღმოჩნდება ლამითაც მოახდინონ დეზინფექცია და 2) ქალაქის გამგეობამ დააჩქაროს ფეხისადგილების გაკეთება ალექსანდრეს ბაღსა და ნაძალადევში.

### ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.

დღეს 24 ენკენისთვეს თელავში გაიმართება ნ. ბარათაშვილის საღამო. საღამოზედ შესრულებულ იქმნება სხვათა შორის ულხანიშვილის ახალი ფუგა: „მირბის მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი". საღამოზედ მონაწილეობას მიიღებს სახალხო მუსიკოსი ილიკო ქურხული.

— კვირას 25 ენკენისთვეს ილიკო ქურხული გამართავს ლექცია-კონცერტს. ილიკო ქურხული წაიკითხავს შთაბეჭდილებებს თავის სამუსიკო ხეტიალის დროს. შეასრულებს სკრიპკაზე სამუსიკო ნომრებს. შემდეგ დაიდგმება ერთ მოქმედებიანი კომედია და საამდროვო კუპლეტები „ვაი-ვუის" ხმაზედ.

## ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ

**22 ენკენისთვე**

კრება გაიხსნა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით საღამოს 8 საათ. 30 წ.

**ხმ. პ. მ. დოლუხანოვის** წინანდელ შეკითხვის გამო თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სოლოლაკის გვირაბიდან აბანოებამდის 6 საჟ. ქუჩა იქნება გაყვანილი და ამის პროექტს თავისს დროზე წარმოუდგენს გამგეობა საბჭოსაო.

შემდეგ თავმჯდომარე შეეხო სურსათის საკითხს და კრებას შემდეგი ცნობები მოახსენა: ფოთიდან უკვე მოსულია 30 ათას ფუთამდე კარგი ფქვილი, რომელიც თითო ტომარა ფასობს (5 ფუთი) 21 მან. აგრეთვე საინტენდანტომ დაგვითმო 30 ათას ფუთამდე და ამ ფქვილის 1 ტომარა (5 ფუთი ღირს 12 მან. 50 კაპ. ეს ფქვილები რომ ერთმანეთში აერიოს, გირვანქა პური გაიყიდება 8 კაპ., ე. ი. ნიხრის კვალობაზე. მარტო საინტენდანტოს ფქვილისაგან პურის გამოცხობაზე მეთორნეები უარს ამბობენ, რადგან ამ ფქვილის ცომი თორნეს არ ადგება და ცეცხლში სცვივა. აგრეთვე ფოთიდან მოსული ფქვილიც ჯერ გამოუსყიდველია. ამის მიზეზი ის არის, რომ მეპურეები 21 მანეთად არ ყიდულობენ ამ ფქვილს (1 ტომარას) და, სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ვერც იყიდიან ამ ფასში, რადგან 1 გირ. პურის ნიხრი 8 კაპ., მაშინ როდესაც ამ ფქვილის პური ბევრად ზედმეტი დაჯდება. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ან ნიხრი უნდა გადიდდეს და ან ფქვილი იაფად უნდა მივყიდოთ მეპურეებს. გარდა ამისა გენერალ იანუშკევიჩის ოფიციალ განცხადებას წაიკითხავდით რუსულ გაზეთებში შესახებ იმისა, რომ მეფის ნაცვლის ბრძანებით თბილისის გუბერნატორს ეძლევა ქალაქ თბილისისა და გუბერნიის საჭიროებისათვის 60 ათასი ფუთი ფქვილი საინტენდანტოდან; ამასთან ერთად, ამიერ-კავკასიის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ბალაჯარის სადგურიდან ვაგონთა ეხლანდელ ნორმას ერთი მეოთხედი მიემატება და გარდა ამისა ამ მცირე დროში 10 დღის განმავლობაში ვაგონთა ნორმის რაოდენობა გაორკეცებული იქნება ამიერ-კავკასიის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო სურსათ-სანოვაგის გადმოსაზიდად. მხოლოდ არ ვიცით, განაცხადა თავმჯდომარემ, ეხლანდელ ნორმად რამდენ ვაგონსა სთვლის გენერალი იანუშკევიჩი.

შემდეგ ბ-ნი ხატისოვი ისევ დაუბრუნდა პურის ფასს და საჭიროდ აღიარა პურის ფასის მოწესრიგება, ვინაიდან უამისოდ მეპურეები ვერ შესძლებენ ძვირად ნაყიდი ფქვილიდან გამოცხვარი პური იაფად გაყიდონო.

**ხმ. ავთანდილოვი,** აღნიშნავს რა ეხლანდელ პურის ყოვლად უვარგისობას და აგრეთვე იმასაც, რომ მეპურეები თეთრი პურის გამოცხობაზე უარს ამბობენ; თხოულობს, რომ საავადმყოფოებისა და ქალაქთა კავშირის ლაზარეთებისათვის მაინც კარგი პური ცხვებოდეს, თორემ ავადმყოფები ასეთ პურს ვერ მოინელებენ და გარდაცვალებულთა რაოდენობა დიდად იმატებსო. თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი,** უპასუხებს-რა ბ-ნ ავთანდილოვს, აცხადებს, რომ ქალაქთა კავშირის ლაზარეთებისათვის ცალკე ფურნეებია გამართული და ისინი უზრუნველყოფილი არიან ამ მხრივ, ხოლო რაც შეეხება ქალაქის საავადმყოფოებს, ამათთვის მეპურეები გამოაცხობენ თეთრ პურს, თუ შესაფერისი ფასები მიეცემათო.

**ხმ. ავთანდილოვი** ისევ უბრუნდება თავისს მიერ გამოთქმულ აზრს და თხოულობს, რომ საქალაქო ფურნეს აკისრებინონ საავადმყოფოთათვის თეთრი პურის გამოცხობა.

გამ. წევ. **მ. ა. ჯაბარი** პასუხს აძლევს ხმ. ავთანდილოვს და აცხადებს, რომ ქალაქის ფურნეში ყოველ დღე ცხვება მხოლოდ 2.000 ფუთი პური, რომელიც მცხოვრებლებზე იყიდება საქალაქო დუქნებში. ეს ფურნე თავისს დანიშნულებასაც ვერ ასდის, თორემ საიდან შეუძლიან საგანგებოდ პური უცხოს დაწესებულებებს. საავადმყოფოებში შეუკვეთონ კერძო მეპურეებს და როგორიც სურთ, ისეთ პურს გამოუცხობენ.

**ხმ. ბაბოვს** უკვირს, საიდან გაჩნდა ეს ფქვილი! ლაპარაკობდნენ, რომ ფქვილი სრულებით არ არისო, ეხლა როგორც სჩანს, თეთრი ფქვილიც კი ყოფილა თბილისში!

გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი.** ეს ფოთიდან მოსული ფქვილია, რომლის შესახებაც ა. ი. ხატისოვმა უკვე მოგახსენათ. ფოთიდან რამდენიმე ხარისხის ფქვილია მოსული და მათ შორის თეთრიც.

**ხმ. ნ. ე. წერეთელი** კითხულობს: როგორ მოხდა, რომ ფოთიდან მოსული პური 1 ტომარა 21 მან. ფასობს? ორატორი უტყუარი ციფრებით ამტკიცებს, რომ ფოთიდან თბილისში მოვიდა №№ მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 ფქვილი. ქუთაისის გუბერნატორის მიერ დაწესებულ ნიხრით ფოთში ფასობდა: მე-5 ნომრის ფქვილი (1 ტომარა) 18 მან. 50 კაპ., მე-6 ნომრის 18 მან., მე-7 ნომრის 17 მან. 25 კაპ. და მე-8 ნომრისა 16 მან. 50 კაპ. ეს ოთხი ფასი რომ შეაერთოდ და შემდეგ გავყოთ ოთხზე, გამოვა 17 მან. 56. 25 კაპ. ამას რომ მიუმატოთ რკინის გზის ფრახტი ფოთიდან თბილისამდე 75 კაპ., თბილისში, რკინის გზის სადგურზე, 1 ტომარა ფქვილი ჯდება 18 მან. 31-25 კაპ., ე. ი. 2 მ. 69 კაპ. ნაკლები 21 მანეთზე. როგორც გამგეობა აფასებს ფქვილს.

გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი** გარკვეულ პასუხს ვერ აძლევს ბ-ნ წერეთელს და აცხადებს, რომ მე თითონ არ ვიცი, ეს როგორ მოხდაო. ფქვილი რეკვიზიციის წესით ჩამოართვა მეპატრონეს მთავარმა რწმუნებულმა, გაჰყიდა ფოთის პოლიცმეისტერმა და ფასი მე მაცნობა ჩვენმა აგენტმაო (ბ-ნი ხარაზიანი). ორატორი ყოველ შემთხვევაში აცხადებს, რომ შევეკითხები ჩვენს აგენტს და გავიგებ, როგორ მოხდა ესაო.

**ხმ. ნ. ე. წერეთელი.** ერთი კვირა იქნება, რაც ფოთიდან ფქვილი მოსულია თბილისში, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაგიხსნიათ იგი რკინის გზისაგან. მეპურეებმა რომ არ იყიდეს იგი, ეს საკვირველი არ არის, რადგან ფქვილს ძვირად აფასებთ, მაგრამ ეს კი გაუგებარია, რატომ ქალაქის გამგეობამ არ დაიხსნა და არ შეინახა საწყობში. ხომ იცით, რომ რკინის გზა დიდძალ ფულს გადაგახდევინებთ საქონლის შენახვაში და ამით ფქვილი უფრო გაძვირდება?

გამგეობამ პასუხი ვერ გასცა ხმოსანს.

**ხმ. კავალენსკი.** ერთმა პირმა 2 კვირის წინ მიიღო „კრუპჩატკა" და ეხლა 21 მანეთად ჰყიდის 1 ტომარას.

გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი.** ხმ. კავალენსკის სიტყვა შთაბეჭდილებას სტოვებს. მან უნდა განაცხადოს, თუ როდის იყო ნაყიდი „კრუპჩატკა"

**ხმ. კოვალენსკი.** როდის იყო ნაყიდი არ ვიცი, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ 2 კვირის წინ მიიღო და ეხლა 21 მანეთად ჰყიდის.

**ხმ. პ. ა. გოთუა** კითხულობს, თუ რა მდგომარეობაშია სასურსათო ორგანიზაციის საქმე, რომლის შესახებ საკითხი აღძრა ქალაქის სასურსათო კომისიამ. როგორც ვიცით, ამ კომისიიდან გამოიყო მცირე კომისია, რომელსაც ხასურსათო ორგანიზაციის პროექტი უნდა შეედგინა. გაგვაგებინეთ, რა გაკეთდა ამის შესახებ.

**გამგეობის წევრი მ. ა. ჯაბარი.** კომისიის წევრთა უმრავლესობა არც ერთს კრებაზე არ მისულა და ამიტომ კრება არ მოხდა. გარდა ამისა კომისიის თავმჯდომარე [illegible] და მისი თანაშემწე ხმ. [illegible] ლისში არც [illegible] უთუოდ ყველანი თავს მოიყრიან და კომისიის გადაწყვეტილებასაც გავიგებთ.

**ხმ. ეზრეკიანი** აცხადებს, რომ მცირე კომისიას თავისი მუშაობა დამთავრებული აქვს და მზად არის წარუდგინოს იგი კომისიასო.

კრებამ დაადგინა პურის ნიხრის გამორკვევა და საერთოდ აღძრული სასურსათო საკითხი გადაეცეს ქალაქის სასურსათო კომისიას, რომელმაც თავისი მოხსენება საბჭოს უნდა წარმოუდგინოს.

შემდეგ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ შესახებ იმისა, რომ სახლის პატრონები, რომლებშიაც ქალაქის რამდენიმე დაწესებულებაა მოთავსებული (მათ შორის საქალაქო სკოლებიც), ქირის მომატებას თხოულობენ და როგორ მოვიქცეთო. გამგეობას და სასკოლო კომისიას ამის შესახებ ის აზრი გამოუთქვამთ, რომ სახლის პატრონებს 15% მივუმატოთო. მაგრამ საბჭომ არ შეიწყნარა ეს წინადადება და ხმის უმრავლესობით დაადგინა გამგეობა მოიქცეს თანახმად სავალდებულო დადგენილებისა ბინების შესახებ, ე. ი. სახლის პატრონები თუ წინანდელ ქირას არ ინდომებენ და ახლად პირობას არ შეუკრავენ ქალაქს, გამგეობამ სახლები არ დასცალოს.

## ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲛᲔ-ᲠᲣᲛᲔ

**სოფ. ავლევი.**

III

(დასასრული)

სამეურნეო იარაღ-მანქანების ხმარება საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართლში. მანქანების შეკეთება, წესიერად მომართვა, მისი ამოძრავება და ხმარება, ხამისათვის ძნელია, მთელ გორის მაზრის მეურნეებს მანქანები შესაკეთებლად (რემონტი) ავლევის სკოლაში მოაქვთ და აქ მასწავლებლების ხელმძღვანელობით რემონტს უკეთებენ მოწაფეები. ხელფასის დიდი ნაწილი (მასალის ფასის გამოკლებით) ეძლევა მოწაფეებს, ამის მეოხებით უფროსი კლასის მოწაფეები ზოგი თავს მისით ინახავს და ზოგს კიდეც რჩება და პირიქით მშობლებს უგზავნის. სკოლას აქვს აგრეთვე სამხედრო მუსიკა, ჰყავს საკუთარი ორკესტრი (22 მოწაფე), რომელთაც იწვევენ სხვა და სხვა შემთხვევის დროს და გასამრჯელოს აძლევენ. სკოლაში სწავლის ფულს არ იხდიან, თითეულ მოწაფეს ახდევინებენ მხოლოდ სწავლის ნივთებისას წელიწადში 5 მან. სამრევლო სკოლის სხვა მასწავლებლებთან შედარებით ამ სკოლის მასწავლებლები მეტს იღებენ

## ᲛᲘᲬᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ *)

ᲗᲐᲕᲘ V

**1907—8 წლები. კრიტიკული ხანა დასელთა მოღვაწეობაში. დემოკრატები და სოციალისტები. დასელთა საქმიანობა და ფედერალისტები. მიწების შესყიდვა, საახალშენო პოლიტიკა და დასელები.**

დასელები კლასიურ პოლიტიკაზე და მშრომელთა ინტერესების ექსპლუატატორთა წინააღმდეგ დაპირისპირებაზე გაიძახოდნენ იქ, სადაც სულ მშრომელნი იყვნენ. შესაძლებელია შეგნებით ბევრი გლეხი ვერ ამაღლებულიყო პარტიულ უმაღლეს ცნებამდე, მაგრამ აქ სადავოა თვით „რჩეულთა" პარტიულობაც. განა სიტყვით მოსოციალისტე გლეხმა უარჰყო თავისი საკუთრება და კლასიურ პოლიტიკის წარმოების უმაღლეს სამსახურს შესწირა თავისი პირადი განსჯა, სურვილი? არა, და ეს ბუნებრივი და მოსალოდნელიც იყო. პირიქით, ასეთი გლეხები, როცა იგრძნეს, რომ პარტიული მუშაობის დროს „ზომიერ" მეზობლებმა „ოდები" წამოიჭიმეს და დოვლათიც გაიმრავლეს, ერთი-ორად დატრიალდნენ და გაათკეცებული სურვილით შეუდგნენ პირადი მდგომარეობის „ჩაკეთებასა" და მოწყობას. ქონების შეძენის მხრით გურიაში ერთგვარი სწორწონილობა არსებობს, ასე რომ ძალიან შორს წასვლა და გასწრობა ერთ მეზობელს მეორისა არ შეუძლიან. გასაგები და ბუნებრივია, როცა დასელები გურიის გლეხობას მოუწოდებდნენ თავად-აზნაურობის წინააღმდეგ, მაგრამ თვით გლეხობაში დანაწილებისა და სხვა და სხვა სოციალ ჯგუფების დანახვის ჟინიანი სურვილი პირდაპირ გაუგებარი და გასაოცარია. ამიტომ ჩვენ არც გვიკვირს თუ პარტიულ და საგლეხო ორგანიზაციათა შორის ერთ დროს გურიაში დიდი უთანხმოება სუფევდა. ხშირად მთელი საზოგადოება ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყოფოდა, ერთნი ლაპარაკობდნენ პარტიის სახელით, მეორენი, როგორც შეურაცყოფილნი, საგლეხო ორგანიზმციაში დარჩენას თაკილობდნენ და ამას იმ უბრალო შედარებით ასაბუთებდნენ, რომ „ჩვენ სხვაზე ნაკლები ბიჭები არ გახლავართო". ერთი სიტყვით, დიდი უთანხმოება სუფევდა ამ ორ ორგანიზაციათა შორის გურიაში. ჩვენ არ ვიცით, მთა მივიდა მაჰმადთან, თუ მაჰმადი მთასთან, მაგრამ ცხადია, რომ დემოკრატიულ ორგანიზაციებში მოყოლებულმა გლეხობის დიდმა უმრავლესობამ თავისი გაიტანა და პრაქტიკული მუშაობა თავისი სურვილის მიხედვით მომართა. მართალია, გურია საერთოდ სოც.-დემოკრატიულ საარჩევნო ოლქად ითვლება, მაგრამ გასაკვირალი აქ არა არის რა. გლეხობა ხმას აძლევს დემოკრატიულ იდეებისათვის მებრძოლ სადეპუტატო პირს და უაღრესად ავალებს მას „მიწის და უფლების" მოპოვებას. ამ ორ წმინდა დემოკრატიულ მოთხოვნილებისათვის ის თავის საარჩევნო კენჭებს დასელ დეპუტატს აძლევს და სხვა ვინმე მოცილე საშინლად ეჯავრება. პოლიტიკური წყობის შეცვლა და აგრარული ძირითადი რეფორმა, აი—უმთავრესად რა აკავშირებს გურიის გლეხობას დასელთა აზროვნებასთან. ყოველი არასოციალისტური პარტიაც ხომ გაუწევდა გლეხობას ამ სამსახურს, მით უმეტეს, რომ დემოკრატიულ მოთხოვნილებათა წამოყენების და დაცვის გარშემო ტრიალებს გურიის დასელების აწინდელი მოღვაწეობა. ამგვარ შეგნებამდე გურიის ინტელიგენცია მწარე გაკვეთილების შემდეგ მივიდა და რამდენადმე კიდევაც დაჰკარგა სოციალისტური იერი. განა „სიცხადით" არ წამოგვიდგება დღეს ის სიტყვიერი თუ წერითი აგიტაცია, რომელსაც ეწეოდნენ დასელები კოოპერატიულ მავნე იდეების წინააღმდეგ! კოოპერაციით გატაცება, მათი აზრით, ნიშნავდა სოციალისტური ბრძოლისა და აგიტაციის მინელებას, ეგრედ წოდებულ პალიატიურ ზომად ითვლებოდა ის სოციალ უსწორმასწორობისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ერთად ერთი უმთავრესი საბუთი იყო, რომლითაც ისინი ებრძოდენ კოოპერაციის იდეის მქადაგებლებს ჩვენში. გვჯერა, რომ დღეს დასელები გარემოებით არიან ჩათრეულნი კოოპერატიულ მოძრაობაში და, სადაც მოსახერხებელია, შემთხვევას არ გაუშვებენ, რომ პარტიული ბრძოლის კარნახს და განსჯას დაუქვემდებარონ თავისთავად მშვიდი უპრეტენზიო მოძრაობა კოოპერატივების შემყურე გლეხობისა. მიუხედავად ამისა, ისინი შემოგვწყრებიან და განაცხადებენ: ჩვენ სავსებით ვიზიარებთ კოოპერაციის აზრებს და ამ მართლაც მეტად უწყინარ ეკონომიურ მოძრაობას პარტიის გარეშე ვაყენებთო. „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს",—ეუბნებოდა სახლის პატრონი მამლის მომპარავს... დასელობა საქათველოში და კერძოდ კი გურიაში იმდენად გამედიდურებულია, რომ ყოველივეს პარტიული თვალსაზრისით უყურებს და თვით ისეთ საკითხს, როგორიც წ.-კ-ის საზოგადოების გახსნაა, უაღრესად პარტიულ განსჯის ქვეშ აცხადებენ. ამ მედიდურობას შეგვიძლია ვუწოდოთ გამარჯვებულთა პსიხოლოგიით შეპყრობილი ყალბი თავმოყვარეობა. ამ სენს მოუცავს დღეს საქართველოში არა მარტო დასელები, არამედ ფედერალისტებიც, ვინაიდან უკანასკნელთ არა ნაკლები პრეტენზია აქვთ გამარჯვებულის მხიბლავ სახელის დამსახურებისა! თუ პოლიტიკურ გრიგალის დროს დასელები გამოიცადნენ და სხვაზე უფრო კარგი დემოკრატები აღმოჩნდნენ, შემდეგ პოლიტიკურ დაკნინებისა და მსუსხავ რეაქციის ხანებში ფედერალისტებმაც იდღესასწაულეს თავიანთი გამარჯვება. ეროვნული იდეით მთელი საქართველოს შებოჭვა და ცენტრიდან პერიფერიებისაკენ პირის ბრუნება უმთავრესად ფედერალისტების პოლიტიკური აგიტაციის შედეგია. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეაქციის ხანა თავისთავად ხელსაყრელ გარემოებას შეიცავდეს ეროვნულ იდეების გავრცელებისათვის.

როგორც ვიცით, რეაქციის დროს მოხდა ძველ ღირებულებათა ხელახალი შეფასება. ცენტრი დამარცხდა, პერიფერია განმარტოებით დარჩა. უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ მოიცვა მებრძოლთა ბუნება. დასელობა ძიებას მიეცა. ძველი შეცდომანი გასწორებას ითხოვდა. ამ ხანას ეკუთვნიან პირველი მერცხლები დასელების ბანაკში ეროვნული საკითხის რკვევის შესახებ, გაბედული კილოს შემტანი. ცხადია, სადაც ეროვნულ საკითხს ადგილი აქვს, იქ კლასიურ თანამშრომლობაზედაც შეიძლება ლაპარაკი. სხვანაირად შეუძლებელიცაა, ვინაიდან ერის ორგანიულ არსად აღიარება მის შემადგენელ ნაწილთა ასეთს თუ ისეთს კავშირსაც გულისხმობს. ამ მხრით საყურადღებოა ის დავა—უთანხმოება, რომელიც ბ-ნ ი. გომართლის მიერ „ივერიაში" მოთავსებულ წერილებმა გამოიწვია. მაგრამ დასელები ძველებური ხერხით და შეურიგებლობით განაგრძობდნენ ბრძოლას, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ბ-ნ გომართლის პიროვნება დიდ ხნობით ჩამოშორდა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზს. არსად სჩანდა აგრეთვე მეორე პროტესტანტი დასელი და აწ გერმანეთის ტყვეობაში უდროოდ გარდაცვლილი ვლ. დარჩიაშვილიც, რომლის პიროვნება ნათელი ელვარებით აღმოიბეჭდება საქართველოს ეროვნულ უფლებათათვის ბრძოლის ეკრანზე.

თვით ცხოვრება კი წინ მიდიოდა, არ იცოდა და დაჟინებით მოითხოვდა საჭირბოროტო საკითხების გადაჭრას. ამ მხრით გურიის დასელობამ ადრევე აუღო ალღო ცხოვრებას და წმინდა საგლეხო მოძრაობას დაუჭირა მხარი. კოოპერატიული მოძრაობა, საკრედიტო ამხანაგობათა დაარსება, სკოლათა გახსნა და საკულტურო მუშაობის გაჩაღება სწორედ მას შემდეგ იწყება აქ, რაც კრილოვის დამსჯელ ექსპედიციამ ოზურგეთი დაანგრია და მეამბოხეთა სახლ-კარს ცეცხლს მისცა. გურიაში რეაქციის დროს საარაკო კულტურული შემოქმედება დაიწყო. ფედერალისტებმა აქაც დააყოვნეს და იმის მაგიერ, რომ ხალხში გასულიყვნენ, თეორიულ დავას ეწეოდნენ ეროვნულ საკითხის გარშემო. ამ დავაში მათ გაიმარჯვეს, სამაგიეროდ თეორიულ დებულებათა რეალი ხორც-შესხმა ვერ მოახერხეს, ანუ ვერ მოასწრეს თვით ხალხში პრაქტიკულ მუშაობის ნიადაგზე განემტკიცებიათ თეორიული დებულებანი. თითქოს წინდაწინ იგრძნესო, დასელები შეუდგნენ ადგილობრივად პრაქტიკულ მუშაობას და ემყარებოდნენ იმ ბრძნულ თქმულებას, რომ „ხე ნაყოფითა იცნობის". თქვენ სწერეთ და დავა გააჩაღეთ, ჩვენ კი ხალხში ვიმუშავებთ და ვნახოთ—ვის უფრო დაუჭერს ხალხი მხარს: თქვენ თუ ჩვენ, რომლებიც მასთან დავაბედებულვართ და ეხლაც იქ ვიმყოფებითო. რეაქციის დროს ფედერალისტებმა შესძლეს თეორიულ დავაში გამარჯვების მოპოვება, ხამაგიეროდ დასელები პრაქტიკულ მოღვაწეობით ამტკიცებდნენ თავიანთ გავლენას.

სწორედ ამ შეგნებით შეხვდა გურიის დასელობა თვით მათ მოღვაწეობაში ზემოდ მოხსენებულ კრიტიკულ ხანას და საშინელი განცდის მორევიდან რამდენადმე გამარჯვებული გამოვიდა. მან გაუწოდა ხელი გლეხობის ზოგიერთ ხალას საჭიროებათ და მით სოციალიზმის მაღალფარდოვან ოცნებიდან ძირს „ცოდვილ მიწაზე" დაეშვა. ამ დღიდან ის წინანდებურად ველარ უყურებს წმინდა საგლეხო მოძრაობას და ყოველგან და ყოველთვის სცდილობს აქტიური მონაწილეობა მიიღოს საჭირ-ბოროტო საკითხების გადაჭრაში. ერთ ასეთ საკითხად ითვლებოდა მიწის შესყიდვა, რომელიც სრულიად მოულოდნელად დაატყდა თავს სუყველა მიმართულების მოაზრეთ და მოღვაწეთ.

მართალია, ვამბობდით ზევით, რომ გურიის დასელობამ ცხოვრების საჭიროებას ადრევე აუღო ალღო და გლეხობა თავისკენ გადიბირაო, მაგრამ კერძოდ მიწის საკითხის შესახებ პირწმინდად ამის თქმა შეუძლებელია, როგორც საერთოდ აგრარულ პროგრამაში, ისე აქაც დასელებს რყევა და ჭოჭმანი შეექნათ. არც არავინ მოცილე პარტია ყოფილა გურიაში იმ დროს, რომ მიწის შესყიდვის შესახებ სალი შეხედულება ექადაგნა, ასე რომ საკუთარ ძალებს დაყრდნობილი დასელები თუმცა დატრიალდნენ, მაგრამ ვერაფერი არსებითი კი ვერ უთხრეს გლეხობას ამ საჭირბოროტო საკითხის შესახებ. დაყოვნებისა და ყოყმანის გამო კი გურულებმა მეტად დიდი შეცდომა დაუშვეს, რომელსაც კოლექტიური შრომა და რაიმე მოულოდნელი გარემოება თუ გამოასწორებს მხოლოდ.

დ. არონიშიძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „საქართველო" № 211.

—თვიურად 35—50 მ. ოთახს და განათება-გათბობის გარდა. ჭრა-კერვის განყოფილება წარსულ წელს დაასრულა 27 ქალმა, მათში სამმა თბილისში დაიჭირა ეკზამენი და მიიღო ჭრა-კერვის მასწავლებლობის მოწმობა (ატესტატი).

მართალია დიდი ავტორიტეტი არა ვარ, მაგრამ ასეთი სასწავლებლის არც მთლად ხამი გახლავართ, რომ ვერ შევძლო იმისი გათვალისწინება, თუ რა ხარჯი სჭირია ასეთი სკოლის ასე დიდებულად შენახვას. მინახავს მსგავსი ტიპის სკოლა, რომელიც რამდენიმე ათეულ ათასებს ყლაპავს და კიდევ არ ჰყოფნის და არც ამ სკოლის მეათედი ნაყოფი მოაქვს. თავად კ. მ. ამირეჯიბს სასულიერო უწყება აძლევს 2,100 მან. და ეს მეორე წელიწადია საადგილ-მამულო კომისია აძლევს 2 ათას მანეთს. დანარჩენი კი ბინა, ფერმა, მანქანები, ხელწყობა, განათება, გათბობა და სხვა, თავადის ჯიბიდან იხარჯება ამ დიდებულ საშვილიშვილო წმინდა საქმეზე. თავადი ბრძანებს, რომ წლიურად 4,000 მან. მეტს არ ვიღებო, მაგრამ არ მგონია, რომ ეს იყოს. უნდა თქვენის თვალით ნახოთ ეს წმინდა წყლის თავადი. ფეხზე უბრალო ჩუსტით, სამუშაო ხალათით, ხელებ დაკორძებული და დარწმუნებული ვარ მისდამი ქედს მოიხრით და ბარაქალა ეტყვით. ფრიად სასიამოვნოა, რომ თავადის ოჯახში ცოლსა და ქმარს-შორის სრული ჰარმონია სუფევს და თავადი კოსტას საყვარელ სკოლას სისი მეუღლეც ფარვანასავით საკუთარ მზრუნველობით თავს დასტრიალებს და ქმარს შრომას უადვილებს. ჩვენში ეს იშვიათი მოვლენაა—კნეინა და ტყაპუჭიანი გლეხის შვილებზე ზრუნვა.

—

სკოლისა და მისი მოჭირნახულის ღვაწლი ავლევისა და მის მახლობელ სოფლებს ადრე დასტყობია—კულტურულ-ეკონომიურად აღორძინებულა. ავლევში არსებობს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, რომელსაც ჰყავს 200 წევრი, რომელთაც აქვთ საკუთარი თანხა, 8,500 მან. ამ ამხანაგობას აქვს საკუთარი კოოპერატივი, რომელიც დღიურად ვაჭრობს (საშუალო რიცხვით) 300 მან. ავლევის საკრეტო ამხანაგობა (თავადის შენობა აქვს დათმობილი) დაარსებულა 1912 წელს, დღეს ამ ამხანაგობას საკუთარი თანხა ჰქონია 7,000 მან. საკრედიტო დაწესებულებას სესხი იშვიათად გამოაქვს თურმე, რადგან მიბარებული ფული ჰქონია ბლომად, ეს კი ჩვენში ძლიერ იშვიათია, და ეს იმის მომასწავებელია, რომ სოფელი ეკონომიურად ღონიერია. კოოპერატორებს და საკრედიტო დაწესებულებაში მომუშავეებს ურჩევ ახლოს გაეცნონ ავლევის ამხანაგობებსა და სკოლას. მაშინ აღარ დაგვჭირდება ბელგიის მაგალითი, სამაგალითო შინაც გვქონია.

—

9 ენკენისთვეს, დილით ნასიამოვნები გამოვეთხოვე ჩემს გულუხვ ევროპიელ ქართლელს და ჩემი ვაჟით უკან დავბრუნდი. ვაჟი წამოვიყვანე, რადგან სწავლა 1 ღვინობისთვემდე არ იწყებოდა. დაე მოწაფეები მშობლებს ჭირნახულის ალაგებაში მიეშველნენო და წელს ასეც იყო საჭირო. დავბრუნდი და არ შემიძლია ერთი რამ იქნებ თქვენთვის, მკითხველო, უმნიშვნელო, მაგრამ ჩემთვის კი ყველაფერი, უნდა აღვნიშნო: ჩემს ვაჟს სკოლა და მისი ძიძა-ლალა თავადი ძლიერ შეუყვარდა—აქაურობას არ მოვცილდები და კიდეც ვიყოჩაღებო, აღმითქვა.

გურულების კოხტად ჩაცმა-დახურვა უყვარს, ჩემი ვაჟიც არ კადრულობდა ავლევში, „უცხო ადგილას" წაეღო ძველი ტანისამოსი, მე ვერაფრით ვერ დავაჯერე, რომ სირცხვილი არ არის დაკერებული ხალათი, მაგრამ როცა თავის თვალით ნახა თავადი გაზეთულ-მაზუთიანი ლურჯი გახუნებული ხალათით და ხარაზული ჩუსტით (წუღით), ნახა თუ როგორ აამუშავა თავის ხელით თავადმა წისქვილი (საათში 15 ფუთს ფქვავს) და ელექტონის მანქანა, ნახა სამჭედლოში მომუშავე, ამის შემდეგ თვით ეძებს გამონახოს ძველ-ძველი ხალათი—წინსაფარი და ისე გაემგზავროს სკოლაში—ეხლა აღარ სცხვენია ატაროს დაკერებული ტანისამოსი. ასეთი ცხოველ-მყოფელია ცოცხალი მაგალითი, ასეთი კარგია სკოლის ხელმძღვანელთა მოწაფეთა ურთი-ერთობა სადა და მარტივი და არა ოფიციალი.

აქეთობისას სოფ. ცერონისში ერთი „სასწაული" კიდევ ვნახე: ერთი მოხუცი დედაკაცი გაფენილ პურს ეჯდა (ქათმებისაგან იცავდა) და სათვალე გაკეთებული „საქართველოს" კითხულობდა. ღმერთო გვიმრავლე მისი მიმბაძველები ახალგაზრდა ქართველი ქალები, რომლებიც ქართულ წიგნებსა და გაზეთებს კითხულობდნენ.

აპ. წულაძე.

# ჩემი პასუხი

(იხილე „სახ. ფურც." № 655 და „საქართველო" № 187. 23 მარიამობისთვისა).

ხუთი შემკითხველი: ივ. კარბელაშვილი, ალ. ვახვახიშვილი, ექ. ხირსელი, ექ. ავალიშვილი და ლევ. ვახვახიშვილი თავის შეკითხვის ცხრა მუხლს წინუმძღვარებენ ისეთ სუსტ შესავალს, რომ, თუ კაცი ჩაუკვირდა, პირდაპირ გაოცდება, სადამდის მიდის ზოგჯერ კაცის წადილი უსათუოდ ჩირქი მოსცხოს თავის მოწინაალმდეგეს, ჰთხზავენ საზიზღარ ჭორს, ვითომ რამდენიმე წინასწარ ჩაგონებული შეზარხოშებული პირი ჰბატონობდა მრავალრიცხვოვან კრებას და ლაპარაკის ნებას არავის აძლევდა. ჰსწერთ, მაგრამ ნუ თუ არა გრცხვენიანთ ასეთი სიყალბისა? არა ხალხი, არამედ თქვენ ახდენდით უწესოებას და კრებისაგან იწვევდით დამსახურებულ პროტესტს. ყველა თქვენგანის გამოსვლას აზრადა ჰქონდა ხოლმე ვისიმე შეურაცხყოფა ან და კრების ჩაშლა. ალ. ვახვახიშვილი განა სასაცილოდ არ იყო იმ როლში, რომელიც მას ეკისრნა? მოგების განაწილების დროს ხომ გახსოვთ, რამდენჯერმე ამოვარდებოდა ხოლმე პრეზიდიუმთან ყვირილით და ღრიალით: „არ მოგცემთ ლაპარაკის ნებას, არ მოგცემთ!.. ლაპარაკის ნებას არ მოგცემთ!.. გატყუებენ, გატყუებენ! მოგება არ ყოფილა! ზარალია და სხვ.

ამისთანა თქვენ ყვირილს ყვირილივე მოჰყვებოდა ხოლმე. და თუ ალ. ვახვახიშვილს და ძმათა მისთა ამისთანა საქციელი კრებაზე არ დაეძრახებათ, მით უმეტეს იმათზე ვერაფერს იტყვით, ვინც თქვენს ყვირილს ყვირილითვე პროტესტს უცხადებდნენ ხოლმე. სამუდამოთ უბედური კაცი ვიქნები, რომ ერთი მაინც მიჩვენოთ ისეთი, ვისთვისაც მე ან ღვინო დამელევინებინოს, ან განზრახ ჩამეგონებინოს რამე. გარდა ამისა ინტელიგენციის უმრავლესობაც ხომ გამგეობასა და საბჭოს უჭერდა მხარსა, ამას როგორღა ახსნით? რა, ისინიც დავათვრე ან განზრახ წინდაწინ ჩავაგონე?! მახსოვს!. ან, ნუ თუ გგონიათ, რომ გლეხკაცი და ხელოსანი ისეთი ადამიანია, რომლის გულიც მარტო ღვინით შეგიძლიან მოინადირო. სირცხვილი, რომ ასე ჰფიქრობთ ჩვენ ხალხზე. გეტყობათ თქვენ ნაკლებად იცნობთ მას...

ვიდრე შეკითხვის განხილვას მუხლობრივ შევუდგებოდე, საჭიროდ ვთვლი შევნიშნო, რომ თქვენი შეკითხვის მეტი ნაწილი ეხება **1916 წელს.** 31 მკათათვეს და 6 მარიამობისთვეს კრების საგანი კი იყო წლიური ანგარიში წარსულ **1915 წლისა.** მაშ მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე კითხვებს, რომელთაც შეეხება მიმდინარე 1916 წლის ანგარიშს წარსულ 1915 წელს რათ ახვევთ? თუ 1915 წლის ანგარიშის შესახებ რამე გწადდათ გეთქვათ და ეს ვერ მოახერხეთ კრებაზე და ამიტომ გაზეთით მეკითხებით, რაღა გაიძულებთ ასევე, რომ მეკითხებით 1916 წლის მოქმედების შესახებ. ხომ იცით, რომ 1916 წელი ჯერ არ დასრულებულა. ისიც კარგად იცით, რომ 1916 წ. ანგარიში და მასზე სჯა-ბაასი იქნება საგნად სხვა განსაკუთრებულ საზოგადო კრებისა. და ახალ კრებაზე, თუ კვლად რამ დაბრკოლება გადაგეღობებათ, ხომ ძნელი სათქმელია. მაშ რათ აჩქარდით?

ახლა მუხლობრივ გავსინჯავ თქვენს ბრალდებას, როგორც 1915 წლის ისე 1916 წლის მოქმედების შესახებ.

1. შემკითხველები ბრძანებენ: „სუხოდოლსკიმ დეპეშით „შემოთვალა, რომ სახლს იძლევა 28.000 მანეთად, ანგარიშებიდან კი სჩანს, რომ ბ. ლუკაშვილმა სუხოდოლსკის „სახლის საფასური ჩააბარა 30,000 მან."

არავითარი დეპეშა 28.000 მან. შესახებ ამხანაგობის საქმეებში არ მოიპოვება და არ ვიცი საიდგან შეთხზეს ეს დეპეშა.

ამხანაგობის საქმეებში არის სამი დეპეშა (პირი ეგზავნება რედაქციას*): ერთი ამხანაგობის გამგეობისაგან ქ. თბილისში ლადო გოგიევზე გაგზავნილი, რომელსაც სუხოდოლსკის ნათესავთან მოლაპარაკება გაემართა შესახებ ამხანაგობისაგან სახლის შეძენისა. მოლაპარაკების დროს დასჭირებოდა სცოდნოდა, თუ ამხანაგობა რამდენს მისცემდა სახლში. მის შეკითხვაზე გვიპასუხნია, რომ ამხანაგობა 30.000 მან. მიცემაზე თანახმა იყო. მეორე დეპეშაა ასეთივე შინაარსისა ამხანაგობისაგან მოსკოვში გაგზავნილი პირდაპირ სუხოდოლსკის სახელობაზე.

არის მესამე დეპეშა თითონ სუხოდოლსკისა თავად ზაქარია რომანის-ძე ჭავჭავაძის სახელობაზე გამოგზავნილი მოსკოვიდგან 20 თიბათვეს 1915 წელს, რითაც ის აცნობებს თ-დ ჭავჭავაძეს, რომ თანახმაა გაყიდოს სახლი მხოლოდ ამ საათში 19 ათას მ. და მატებით ბანკის ვალის გარდა. ბანკის ვალი იმ დროს უდრიდა 10050 მანეთს, ხოლო ნედოიმკა 500 მან. და, რომ 19 ათასი მანეთი მიუმატოთ, მივიღებთ 30050 მანეთს, რაიც სწორედ გარდ ხდილი გვაქვს სახლში.

მეკითხებიან: სად გაჰქრა ზედმეტი 2000 მანეთი, ვნახოთ რომელ 2000 მანეთზე მეკითხებიან.

თუ 28,000 მანეთს გამოვაკლებთ 30,050 მანეთიდან, მივიღებთ 2,050 მანეთს და არა 2,000 მანეთს. მაშასადამე, შემკითხველების სურვილია გაიგონ, თუ სად გაჰქრა ზედმეტი 2,000 მანეთი, არ უნდა ეკუთვნოდეს ამ 2050 მან., ვინაიდან, ჯერ ეს ერთი, 2050 მ. 2,000 მან. არ არის; მეორე, 19,000 მანეთის ხელწერილი გვაქვს სუხოდილსკისა, და მესამე, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის მოწმობა შესახებ ძირითადი ვალის ნაშთისა—10505 მან. ნედოიმკისა 500 მან. ყველა ეს საბუთები ერთად აღებული იძლევა 30,050 მანეთს. ვერც სუხოდილსკის ბარათების და ვერც ბანკის მოწმობის სიყალბეს ვერც ერთი შემკითხველთაგანი ვერ გაბედავს აღიაროს.

მაშასადამე, აქ სხვა ორას თუმანზეა ლაპარაკი. ეს უსათუოდ ის ორასი თუმანი გახლავთ, რომელზედაც ბ-ნმა სტუმარმა მოიტეხა კისერი. ამ ორასი თუმნის ისტორიის გაცნობას მეორედ აღარ მოგიყვებით. მსურველს შეუძლიან წაიკითხოს ჩემი პასუხი ბ. სტუმრისადმი დასტამბული ამა წლის „სახალხო ფურცლის" № 666-ში. აქ კი გამოვაქვეყნებ იმ დამატებით საბუთს და ცნობას, რომელიც მოქალაქობრივ სიკვდილს უქადის შემკითხველებს.

აი ერთი შემკითხველთაგანი ბ-ნი კარბელაშვილი თავისივე ხელით რასა სწერს ამ ორასი თუმნის მოძრაობის შესახებ.

„თელავის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, 21 მაისი 1916 წელი, № 1047. ქ. თელავი, თბილისის გუბ.

„მის აღმატებულებას ვასილი პეტრეს ძეს ბ-ნ სუხოდოლსკის.

დ. პ. ლუკაშვილის თხოვნისამებრ გაწვდით ცნობას 2000 მანეთის მოძრაობის შესახებ: 27 მკათათვეში თქვენ მიერ ბოძებულის ბარათით თქვენ გევალებოდათ 2000 მან. აქედან 1400 მანეთი 20 ქრისტეშობისთვეს წარმოადგინა დ. პ. ლუკაშვილმა. დანარჩენს 600 მანეთს ლუკაშვილი გადაიხდის ქალ. არხანგელსკიდან დაბრუნებისათანავე, სადაც ის წავიდა ამხანაგობის საქმეებისა გამო 22 თებერვალს ამა წელს".

აი ასეთ პასუხს აძლევს თვით ივ. კარბელაშვილი ორასი თუმნის შესახებ ბ. სუხოდოლსკის 28 მაისს ხოლო 23 მარიამობისთვეს კი მე მეკითხება, სად გაჰქრა ორასი თუმანიო.

არ ვიცი, ბატონებო, ამისთანა ადამიანს რა სახელი ვუწოდო?!

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამ წერილის დაწერის შემდეგ არ გასულა ერთი კვირა, რომ სუხოდოლსკის მამულიდან კიდევ შემოსულა 800 მანეთი, საიდანაც 600 მანეთი გამგეობამ მოახმარა ამ ორასი თუმნის განაღდებას, დანარჩენი 200 მან. კი გარდამავალ თანხაში ჩასწერა, რადგან 200 თუმანი უკვე გარდახდილი იყო. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როცა ჩემ მაგივრობას გამგეობაში ასრულებდნენ ივ. კარბელაშვილი და ექ. ავალიშვილი. და განა სირცხვილი და სწორედ მოქალაქობრივი სიკვდილი არ არის იმათთვის, მომახვიონ ის ბრალდება, რის სიყალბეც და უსაფუძვლობაც ჩემზე უკეთ იციან?!

გარდა ამისა, უჩივიან რაღაც სახლის შესახებ ანგარიშებში გაუგებრობას და სხვ. აგრეთვე სწერენ, რომ ნაწილი იმათგანი ვიღასაც და რაღასაც ჩაუყლაპავს. მაგრამ ვინაიდგან არ აღნიშნავენ, რა ვერ გაიგეს ანგარიშებში ამ ხუთმა ბრალმდებელმა და რომელი მათგანი ჩაუყლაპავს ვიღასაც თუ რაღასაც, ამიტომ ეს მხოლოდ სიტყვების რახა-რუხია და მოცლილი ხალხის საკადრისი ლაპარაკის საგანი, რისთვისაც გვენანება ჩვენი კალამიც და დროც. დაე ისევ თითონ გაერთნენ ამნაირი ბაასით. აქ კი შევნიშნავ, რომ ამისთანა ლაპარაკი ურჩევნიათ ან თელავის ბულვარში ან ნადიკვარზე განაგრძონ, მხოლოდ გაზეთებში წერა ამაებზე სახიფათოა მათთვის.

დ. ლუკაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) ხსენებული დეპეშები მივიღეთ. რედ.

# საკრედიტო დაწესებულებათა საყურადღებოდ

და წერილი თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამგეობას.

ბატონებო, ამ წლის მკათათვეში და მარიამობისთვეში ვლადივოსტოკიდან მივიღეთ გოგირდი. ნამდვილად ვიცი რომ ამ გოგირდის გადმოტანაში რკინის გზას თქვენთვის 20.000 (ოცი ათას) მანეთამდე ზედმეტი (переборъ) გადაუხდევინებია. გაცნობებთ ამას იმიტომ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში თხოვნა შემოიტანოთ და ეს ფული უკანვე გაიტანოთ. ვექილი, შუამავალი, საგერბო და სხვა გადასახადი საჭირო არ არის. მხოლოდ გამოგზავნეთ ამიერ-კავკასიის რკინის გზის „სლუჟბა სბოროვ"-ში თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი თხოვნა, ყველა ნაკლადნოები და თქვენი მისამართი. ფული მანდ გამოგეგზავნებათ.

იმედია, ამ ფულს უკანვე წაიღებთ და ღარიბ კახელებს არ გადაახდევინებთ გოგირდის გაყიდვის დროს.

ასევე ხუთას მანეთამდე მეტი გადაუხდევინებია კარდენახის ამხანაგობისთვის მოსკოვიდან მიღებულ გოგირდის მოტანაში. მასაც შეუძლიან ფული ამნაირათვე უკან გაიტანოს.

გაფრთხილებთ, არაფრის გულისთვის არ გაყიდოთ რკინის გზის ის ნაკლადნოები, რომელნიც ვლადივასტოკიდან მოტანილ გოგირდს ზედართავს ხოლმე. რკინის გზის მოხელეებმა ყველა ტარიფი არ იციან და მეტს გახდევინებენ.

ვთხოვ „სახ. ფურცლის" და „თან. აზრის" რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ვინმე კახელი.

# ს. იაშვილი

(„მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველობისა"

(გაგრძელება)

33. მე-24 გვ. ქვ. მე-8 სტრ. აგრეთვე უკეთესი იქნება სიტყვა „დახსნა" საქიმიო ცნებასიტყვად ვიხმაროთ, ხოლო „დაშლა უფრო საფიზიკოდ. მაშასადამე აქ მხოლოდ პირველი მათგანი უნდა დავტოვოთ.

34. ამავე გვ. უკანასკ. სტრ. ნახმარია „ქლორის ნატრი". ეს გამოთქმა არ ვარგა, სწორი არ არის. ეს ნატრი ქლორიდან წარმოშობილი შეერთებული კი არ არის, არამედ მასთან, მაშასადამე, უფრო სწორი იქნება გამოთქმა „ქლორ-ნატრი.

35. მე-25 გვ. ზემ. მე-13 სტრ. სწერია: „წყლიდან გამოდევნილი წყალბადი? ეს გამოთქმა სწორი არ არის. „გამოდევნა" საფიზიკო ცნებასიტყვაა, აქ კი საქიმიო ცნებასიტყვაა საჭირო. წყალბადი წყალში ხომ არ არის გახსნილი, რომ იქიდან გამოიდევნოს. უკეთესი იქნება ითქვას: წყლიდან მიღებული წყალბადი.

36. ამავე გვ. უკანასკ. სტრიქონში ფიზიკურ მოვლენის განმმარტოებული სიტყვა „დადნება", როგორც შეუფერებელ ადგილზედ ნახმარი, უნდა ამოიშალოს.

37. სურათი 16. წარწერაში ნახმარი სიტყვა „დაშლა" აგრეთვე საფიზიკო ცნებასიტყვაა და უნდა სხვა უფრო შესაფერით შეიცვალოს (ცილინდრიც ვგონებ უკულმაა დახატული).

38. მე-26 გვ. ქვ. მე-5 სტრ. სწერია: „როცა წყალბადი იწვის, მაშინ მჟავბადს უერთდება". როცა იწვის წყალბადი მაშინ არ უერთდება იგი მჟავბადს, არამედ თვით ეს შეერთება არის წვა. ამ ორ წინადადებაში ძალიანი დიდი განსხვავებაა და ამიტომ, მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება.

39. მე-27 გვ. ზემ. მე-3 სტრ. ვკითხულობთ: „ასაფეთქებელი გაზი". ამ მქროლს ასაფეთქებლად არავინა ჰხმარობს, რადგანაც მას მაინც დიდი ამფეთქებელი ძალა არა აქვს. მას ხმა უფრო აქვს ვიდრე ძალა. ამიტომ ამ მქროლს სახელად ან უნდა მფეთქარა მქროლი დავარქვათ, მჭექარა ან არა და „მქუხარა". მე ჩემის მხრით ეს უკანასკნელი სახელი მეტად მომწონს.

40. სურათი 20. ეს სურათი ასოებს „ა" და „ბ" არა ჰსაჭიროებს.

41. მე-28 გვ. ზემ. მე-9 სტრ. სწერია: „მჟავბადი იმით განირჩევა ჰაერისაგან, რომ წვას ხელს უწყობს". ეს წინადადება სრულებით უნდა გამოიტოვოს წიგნიდან, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სწორი არ არის (განა ჰაერი კი წვას ხელს არ უწყობს? განა ჩვეულებრივ ყოველნაირი წვა ჰაერში არა ხდება?), და მეორეც იმიტომ, რომ უფრო სწორი განმარტებაა მოთავსებული 6 სტრიქონის შემდეგ.

42. მე-29 გვ. ზემ. მე-16—19 სტრ. სწერია: „იგი (ნახშირმჟავა) ყოველის ცხოველისა და მცენარის სხეულშიაც მუდამ გროვდება. ამიტომაც გარშემო ჰაერში მუდამ არის ნახშირმჟავა". ასეთი დასკვნა სრულებით არ ვარგა. არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მეორე წინადადებას პირველთან.

43. სურათი 21. ბოთლში წყალია მოთავსებული და ტექსტში კი ამ წყლის შესახებ არაფერია ნათქვამი. იქნებ მევრმა ვერც კი გაიგოს ამ წყლის დანიშნულება.

44. მე-30 გვ. ზემ. მე-4—10 სტრ. ეს ადგილი, სადაც განმარტებულია ცხოველების სუნთქვის ვითარება, ძალიან სუსტია. ეს სტრიქონები მე-29 გვ. რომ ყოფილიყო მოთავსებული, იმის ახსნა მაინც გვექნებოდა, თუ საიდანა ჩნდება ჰაერში ნახშირმჟავა. ამ შემთხვევაში ისიც უნდა დაემატოს, რომ ზოგ ვულკანიან ადგილებში დედამიწის ნაპრალებიდან აუარებელი ნახშირმჟავა ამოდის და ჰაერს ერევა.

45. მე-32 გვ. ქვ., მე-14 სტრ. სწერია: „სიგანე 12,000 ვერსს უდრის". უნდა იყოს: სიგანე დაახლოვებით 12,000 ვერსს უდრის.

46. მე-32 მე-12 სტრ. სწერია: „დედამიწაში არის თიხა, ქვიშა, ცარცი, ქვანახშირი და სხვა და სხვა ლითონი". ეს წინადადება უკეთესად და უფრო სრულად უნდა დაიწეროს: განა დედამიწაში ლითონებისა, თიხისა, ქვიშის, ცარცის და ქვანახშირის მეტი არაფერი მოიპოვება?

47. ამავე გვ. იქვე ქვ. მე 10 სტ. მოთავსებულია შემდეგი განმარტება: „ყველა ამ ნივთიერებას მინერალები ან მადნეულობანი ეწოდება." ეს შემცდარი აზრია! რაც მიწერილია, ყველა მადანი არ არის, როგორც მაგალითად: ქვა, თიხა, ქვიშა და სხვა. უფრო სწორი იქნება რომ ვსთქვათ: მადანს ვეძახით ჩვენ ერთ ადგილზე დაგროვილს მეტად თუ ნაკლებ ძვირფასს მინერალს.

მ. შალამბერიძე.

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მოძრაობა
(დრო [illegible] ტფილისისა)

| თბილისიდან გადის: | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.26 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, 7 | „ 58 „ | დილ. |
| **თფილისში მოდის:** | | | | |
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 7 | „ 58 „ | საღ. |

## სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით"**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებელი ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მელაოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

გამოვიდა და იყიდება
## კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო **„Новое Слово"** ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ხ. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა") თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Слово"-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова" имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово" можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ". (თ.—225—12)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
## „განათლება"-ში
**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძიძიგურები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ძისით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ზემ-შიხის" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.